

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში
დამატების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებანი, 1984 წლის №12, მუხლი 421) დაემატოს შემდეგი შინაარსის 179⁵ მუხლი:

“მუხლი 179⁵. ფალსიფიცირებული ან მაგნებელი ალკოჰოლური
სასმელის რეალიზაცია

1. საზოგადოებრივი კვების ან სავაჭრო ობიექტის მიერ ფალსიფიცირებული ან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაგნებელი ალკოჰოლური სასმელის რეალიზაცია,

- გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში,

- გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.